პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 78 (20724) — სამშაბათი, 8 აპრილი, 1990 წელი. — ფასი 5 კაპ.



მუშათა ღირსეულ ცვლას უმზადებს სამთოელებს ჭიათურის № 20 პროფესიული სასწავლებელი. გავა ცოტა ხანი და 300 კვალიფიციური მაღაროელი — ახლანდელი მოსწავლე — შეემატება საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ მაღაროთსამმართველოების კოლექტივებს.

სურათზე: საწარმოო სწავლების ოსტატი ა. ბრეგვაძე და მოსწავლეები კ. მოდებაძე, დ. სამხარაძე და გ. ყიფშიძე მეცადინეობის დროს.

ა. მამაკავარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის პრეზიდენტის წერილი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს

წინადადებით მივმართავ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს პროიორიტეტული წესით განიხილოს და მიიღოს დადგენილება „ქალთა მდგომარეობის, გაუმჯობესების, დედათა და ბავშვთა დაცვის, ოჯახის განძტკიცების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

ეს ძირტა მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა როდია. საქმე ეხება ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ძირეულ საკითხს, მის აწმყოსა და მომავალს. რა მწვავეც უნდა იყოს საქმის ვითარება სხვა სფეროებში, ზრუნვა დედებისა და შვილებისათვის ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ. მათდამი ყურადღება ქოველი საზოგადოების, უწინარეს ყოვლისა სოციალისტური საზოგადოების, კულტურის, ცივილიზებულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

ამავე დროს სწორად აქ შეგვექმნა შეუწყნარებელი ვითარება. ქალის ოთმაგი დატვირთვა—წარმოებაცა და საოჯახო მეურნეობაში, მათი შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების არასაკმარისად მოფიქრებული ორგანიზაცია სერიოზულად ართულებს ქალთა ცხოვრებას, გავლენას ახდენს მათს ჯანმრთელობაზე, ოჯახში ვითარებაზე, შვილების აღზრდაზე. სახელმწიფო დახმარებისა და შეღავათების მოქმედი სისტემა ვერ უზრუნველყოფს ბევრი ოჯახის ჯეროვან მატერიალურ კეთილდღეობას. გახსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აოიან მრავალშვილიანი ოჯახები, ძარტოხელა დედები, საბავშვო სახლებისა და სხვა საბავშვო საეციალური დაწესებულებების აღსაზრდელები.

ამჟამად მზადდება დედათა და ბავშვთა დაცვის, ოჯახის განმტკიცების ყოველმხრივი სახელმწიფო პროგრამა. მითითება გავეცი, დაჩქარდეს მისი შემუშავება. ამავე დროს დარწმუნებული ვარ იმის საჭიროებასა და შესაძლებლობაში, რომ უკვე ახლა, გადაუდებლად, განხორციელდეს ყველაზე ხელმოკლე ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების პირველი რიგის ღონისძიებანი.

წინადადებით მოგმართავთ კატეგორიულად გადასინჯოთ ბავშვებზე სახელმწიფო დახმარების ოდენობა, გაზვეს წესი და პირობები, დეკრეტული შვებულებისა და ბავშვების მოვლისათვის შვებულების ხანგრძლივობა.

სახელმწიფო ვალდებულია მშობლებს შეუქმნას ხელშემწყობი პირობები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს საზოგადოებრივ წარმოებაში შრომა შეუბამონ შვილების აღზრდას. საკანონმდებლო წესით უნდა გაგითვალისწინოთ მუშაობის მოქნილი გრაფიკების, არასრული სამუშაო დღის შემოღების უფრო ფართო შესაძლებლობანი. ვფიქრობ აგრეთვე, რომ უსანართლობაა, როცა მოქმედი კანონმდებლობა ზღუდავს ამ თვალსაზრისით მამების, მეურვეების, ოჯახის სხვა წევრების უფლებას, რომლებიც ფაქტობრივად ზრდიან ბავშვს.

საერთოდ მინაჩნია გადაისინჯოს ბევრი ნორმა და წესი ორსულ ქალების, დედების შრომისა და დისპანსერიზაციის ორგანიზაციის შესახებ, ყოიადდებით მოგმართავთ გაიზარდოს საბჭოთა და საერთაშორისო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ქალის შრომის შემსუბუქების რეალური პირობების შექმნისათვის, ფსიქოფიზიოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებების სწორი გათვალისწინებისათვის. უმოკლეს ვადებში უნდა გადაისინჯოს ქალისა და ყმაწვილებისათვის მძიმე და მავნე პროფესიათა ნუსხა, დასაშვები დატვირთვის ნორმები, შეიზღუდოს ღამით ქალთა შრომის გამოყენება, ხოლო იმ ქალთა მიმართ, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, — ეს უპირობოდ განხორციელდეს. დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც უზრუნველყოფს მავნე სამუშაოზე დასაქმებულ ქალთა ჯანმრთელობის დაცვას.

საჭიროდ მიმაჩნია გაფართოდეს საბავშვო და სამშობიაროო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების აღჭურვის, საერო მოწყობილობისა და წმინდის, საბავშვო სასურსათო პროდუქტების იმპორტით შესყიდვის საგალუტო ასიგნებანი.

შემოთავაზებულ ღონისძიებანი დამატებით ხარჯებს, თანაც საკმაო ხარჯებს მოითხოვს. მაგრამ ამ მიზნით სახსრები უნდა გამოიძებნოთ სახელმწიფო ხარჯების შეძცირებისა და ოპტიმიზაციის გზით. ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს საგრძნობლად გავუმჯობესოთ მილიონობით წვრილშვილიანი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა. ბევრი რამის გაკეთება შეიძლება აგრეთვე რესპუბლიკების, ოლქების, საწარმოების რესურსების ხარჯზე. აქ მთავარია ჩამოვაყალიბოთ პრობლემების შესაბამისი გაგება და მათი გადაწყვეტისადმი დაინტერესებული დამოკიდებულება.

მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის პრეზიდენტის მიმართვა ლიტვის სსრ უზენაეს საბჭოს

ლიტვის ახლანდელი ხელმძღვანელობა ყურად არ იღებს გონების ხმას, კვლავ უგულებელყოფს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე, რიგგარეშე ყრილობის გადაწყვეტილებებს, ცალმხრივი წესით მოქმედებს, რაც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას და აშკარად აბუჩადამდგები და შეურაცხმყოფელია მთელი კავშირისათვის.

მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ ეს გზა დამღუპველია, და მხოლოდ ჩიხში მოგვაქცევს.

მოვუწოდებ ლიტვის სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს მეიგნონ ეს ქმმარტება, თავიანთი ისტორიული პასუხისმგებლობა ლიტვის ხალხის, ლიტველთა და არალიტველთა ინტერესებისათვის, მათი უშიშროებისა და კეთილდღეობისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის ბედისა და მსოფლიოში სტაბილურობისათვის.

წინადადებას ვაყენებ, ლიტვის სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე დაუყოვნებლივ გაუქმდეს მიღებული მართლსაწინააღმდეგო აქტები. ასეთი ნაბიჯი შესაძლებელს გახდის, რომ განვიხილოთ წარმოქმნილი პრობლემათა მთელი კომპლექსი ერთადერთ მისაღებ საფუძველზე— სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.

მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის პრეზიდენტის მიმართვა ლიტვის სს რესპუბლიკის ხალხს

კატეგორიულად ლიტვის სს რესპუბლიკის მოქალაქენო!

მოგმართავთ თქვენ, ქვეყნისათვის ძნელ ჟამს. ლიტვის სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმდინარე წლის 11 მარტის გადაწყვეტილებებმა ყველა კრიზისულ ზღვრამდე მიგვიყვანა. ლიტვის სს რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობის ცდები, უცბად გაწყვიტოს რესპუბლიკის კავშირი საბჭოთა კავშირთან, მის მიერ არჩეული ცალმხრივი და ულტიმატუმური მოქმედების ტაქტიკა საფრთხეს უქმნის რესპუბლიკის მთელი ხალხის — ლიტველთა და არალიტველთა — ნორმალურ ცხოვრებასა და უშიშროებას და დიდ შეფოთებას იწვევს ქვეყანაში.

განა ნორმალური, როცა კონსტიტუციის შესწორებები, რომლებიც განსაზღვრავენ რესპუბლიკის, მისი ხალხის ბედს და ეხება მთელი ქვეყნის ინტერესებს, ნაუცბათევად, უკონსულტაციოდ და განუხილველად, პირდაპირ ერთ ღამეში წყდება?

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა III ყრილობამ მოუწოდა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უკუაგდოს პოლიტიკური უგულებელყოფა. საღი აზრისაკენ ამ მოწოდებას ლიტვის ხელმძღვანელობამ უპასუხა უპასუხისმგებლო და მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა ესკალაციით. ეს ლიტვის სს რესპუბლიკას უბირისპირებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, მთლიანად საბჭოთა კავშირს, ძირს უთხრის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობას და თანამშრომლობას ჩვენს ხალხებს შორის.

მოქმედება, რომელიც ხორციელდება ლიტვაში, ლოგიკურად ყოველად უსაფუძვლოა. ეს მოქმედება ხორციელდება სწორედ მაშინ, როცა ჩვენ ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე დავიწყეთ საბჭოთა ფედერაციის ძირეული საკითხების გადაწყვეტა.

როგორია ჩვენი პოზიცია? ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს თავისუფალი და თავისთავადი განვითარების იდეების გულწრფელი ერთგულება, მათი თვითგამორკვევისა და სუვერენიტეტის კანონიერ უფლებათა პატივისცემა. ეს მთლიანად ეხება ლიტველ ხალხსაც.

ახლა ცდილობენ დაგარწმუნონ, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში, მასთან კავშირის გაწყვეტლად ნამდვილი სუვერენიტეტი შეუძლებელია. ამავე დროს მიზანმიმართულად ამუქებენ ძველ წყენას, ამუქებენ ერთად ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს. მართალია, წარსულში ბევრი ისეთი რამ გვქონდა, რასაც ახლა ერთნაირად ვგმობთ და უარყოფთ. ეს მარტო ლიტველი ხალხის მიმართ როდი ხდებოდა. მაგრამ ვერავინ უსაყვედურებს გარდაქმნის პოლიტიკას იმას, რომ ჩვენი ქვეყნის რომელიმე ხალხი დღეს შეგნებულად არის ამაღლებული ან მიზანმიმართულად დაჩაგრებული.

ჩვენ მრავალ წელს ვიცხოვრეთ ერთ სახლში. და განა მარტო კიცხვას იმსახურებს ეს დრო? განა გაფერმკრთალდა და გაქრა საბჭოთა კულტურის მრავალფეროვნებაში ლიტვის ლიტერატურა და პოეზია, თეატრი და კინო, მუსიკა და არქიტექტურა, განათლება და სპორტი? განა ერთობლივი შრომით, სხვა რესპუბლიკების ძმური დახმარებით არ ვითარდებოდა თქვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა? განა მეგობრული ხელი არ გაუწოდებია თვით ლიტვას სხვა ხალხებისათვის ძნელ პერიოდში? განა ლიტველ მოქალაქეთა ხმებით არ აოის განმტკიცებული სსრ კავშირის კონსტიტუცია, რომელსაც ლიტვა, როგორც სრულუფლებიანი რესპუბლიკა, მრავალი წლის მანძილზე პატიოსნად და წესიერად ასრულებდა?

ლიტვის ახლანდელი ლიდერები ცდილობენ დაგარწმუნონ თქვენ იმაშიც, რომ მათი სუპარატისტული მოქმედება გავლენას არ მოახდენს სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა ურთიერთობაზე. მაგრამ ეს ასე არ არის. რადგან ყველა ეს ურთიერთობა ნორმალურად შეიძლება განვითარდეს და ნაყოფი გამოიღოს მხოლოდ ნდობისა და ურთიერთდახმარების სასიკეთო ატმოსფეროში, და არა კონფრონტაციისა და ულტიმატუმების, ერთმანეთის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებისა და ეროვნებათშორისი შუღლის ვითარებაში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის დემონსტრაციული უგულებელყოფა, საბჭოთა კანონების აბუჩად აგდება, სამოკავშირეო ვალდებულებათა შეუსრულებლობა სამართლიან აღშფოთებას იწვევს მთელ ქვეყანაში. სსრ კავშირის პრეზიდენტი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, სსრ კავშირის მთავრობა იღებენ მრავალ წერილსა და დეპეშას, რომლებშიც გამოთქმულია უდიდესი შეშფოთება და გაკვირვება ამის გამო, რაც ლიტვაში ხდება. ხალხი თხოულობს სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვას, კავშირის დაცვას ზიანისაგან, რომელსაც მას აყენებს სეპარატისტთა მოქმედება. გვთავაზობენ გამოვიყენოთ ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული ხასიათის ეფექტიანი ღონისძიებანი. ბელორუსიასა და კალინინგრადის ოლქში აყენებენ საკითხს, რომ მათ დაუბრუნდეთ ტერიტორიები, რომლებიც ლიტვას გადაეცა სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი შესვლის შემდეგ.

ერთი სიტყვით, სიტუაცია თვით რესპუბლიკაში და მის გარშემო დრამატული ხასიათის იძენს. და თუ ახლა არ მოვუხმობთ გონების ხმას, მოვლენებს შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს ყველასათვის. ჩვენ უნდა გვამოძრავებდეს საერთო მისწრაფება — არ დავუშვათ ეს.

მე მივმართე ლიტვის სსრ უზენაეს საბჭოს და შევთავაზე დაუყოვნებლივ გაუქმოს მიღებული მართლსაწინააღმდეგო აქტები. ეს შესაძლებელს გახდის, ყველა წამოჭრილი პრობლემა განვიხილოთ ერთადერთ მისაღებ საფუძველზე — სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.

იმედი მაქვს, ჩემს მიმართვას მხარს დაუჭერენ ლიტვის სს რესპუბლიკის მოქალაქენი.

მ. გორბაჩოვი.

სსრ კავშირის პრეზიდენტის მიმართვა ლიტვის სს რესპუბლიკის ხალხს

კატეგორიულად ლიტვის სს რესპუბლიკის მოქალაქენო!

მოგმართავთ თქვენ, ქვეყნისათვის ძნელ ჟამს. ლიტვის სს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმდინარე წლის 11 მარტის გადაწყვეტილებებმა ყველა კრიზისულ ზღვრამდე მიგვიყვანა. ლიტვის სს რესპუბლიკის ახლანდელი ხელმძღვანელობის ცდები, უცბად გაწყვიტოს რესპუბლიკის კავშირი საბჭოთა კავშირთან, მის მიერ არჩეული ცალმხრივი და ულტიმატუმური მოქმედების ტაქტიკა საფრთხეს უქმნის რესპუბლიკის მთელი ხალხის — ლიტველთა და არალიტველთა — ნორმალურ ცხოვრებასა და უშიშროებას და დიდ შეფოთებას იწვევს ქვეყანაში.

განა ნორმალური, როცა კონსტიტუციის შესწორებები, რომლებიც განსაზღვრავენ რესპუბლიკის, მისი ხალხის ბედს და ეხება მთელი ქვეყნის ინტერესებს, ნაუცბათევად, უკონსულტაციოდ და განუხილველად, პირდაპირ ერთ ღამეში წყდება?

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა III ყრილობამ მოუწოდა რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უკუაგდოს პოლიტიკური უგულებელყოფა. საღი აზრისაკენ ამ მოწოდებას ლიტვის ხელმძღვანელობამ უპასუხა უპასუხისმგებლო და მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა ესკალაციით. ეს ლიტვის სს რესპუბლიკას უბირისპირებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, მთლიანად საბჭოთა კავშირს, ძირს უთხრის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობას და თანამშრომლობას ჩვენს ხალხებს შორის.

მოქმედება, რომელიც ხორციელდება ლიტვაში, ლოგიკურად ყოველად უსაფუძვლოა. ეს მოქმედება ხორციელდება სწორედ მაშინ, როცა ჩვენ ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე დავიწყეთ საბჭოთა ფედერაციის ძირეული საკითხების გადაწყვეტა.

როგორია ჩვენი პოზიცია? ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს თავისუფალი და თავისთავადი განვითარების იდეების გულწრფელი ერთგულება, მათი თვითგამორკვევისა და სუვერენიტეტის კანონიერ უფლებათა პატივისცემა. ეს მთლიანად ეხება ლიტველ ხალხსაც.

ახლა ცდილობენ დაგარწმუნონ, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში, მასთან კავშირის გაწყვეტლად ნამდვილი სუვერენიტეტი შეუძლებელია. ამავე დროს მიზანმიმართულად ამუქებენ ძველ წყენას, ამუქებენ ერთად ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს. მართალია, წარსულში ბევრი ისეთი რამ გვქონდა, რასაც ახლა ერთნაირად ვგმობთ და უარყოფთ. ეს მარტო ლიტველი ხალხის მიმართ როდი ხდებოდა. მაგრამ ვერავინ უსაყვედურებს გარდაქმნის პოლიტიკას იმას, რომ ჩვენი ქვეყნის რომელიმე ხალხი დღეს შეგნებულად არის ამაღლებული ან მიზანმიმართულად დაჩაგრებული.

ჩვენ მრავალ წელს ვიცხოვრეთ ერთ სახლში. და განა მარტო კიცხვას იმსახურებს ეს დრო? განა გაფერმკრთალდა და გაქრა საბჭოთა კულტურის მრავალფეროვნებაში ლიტვის ლიტერატურა და პოეზია, თეატრი და კინო, მუსიკა და არქიტექტურა, განათლება და სპორტი? განა ერთობლივი შრომით, სხვა რესპუბლიკების ძმური დახმარებით არ ვითარდებოდა თქვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა? განა მეგობრული ხელი არ გაუწოდებია თვით ლიტვას სხვა ხალხებისათვის ძნელ პერიოდში? განა ლიტველ მოქალაქეთა ხმებით არ აოის განმტკიცებული სსრ კავშირის კონსტიტუცია, რომელსაც ლიტვა, როგორც სრულუფლებიანი რესპუბლიკა, მრავალი წლის მანძილზე პატიოსნად და წესიერად ასრულებდა?

ლიტვის ახლანდელი ლიდერები ცდილობენ დაგარწმუნონ თქვენ იმაშიც, რომ მათი სუპარატისტული მოქმედება გავლენას არ მოახდენს სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებთან ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა ურთიერთობაზე. მაგრამ ეს ასე არ არის. რადგან ყველა ეს ურთიერთობა ნორმალურად შეიძლება განვითარდეს და ნაყოფი გამოიღოს მხოლოდ ნდობისა და ურთიერთდახმარების სასიკეთო ატმოსფეროში, და არა კონფრონტაციისა და ულტიმატუმების, ერთმანეთის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულებისა და ეროვნებათშორისი შუღლის ვითარებაში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის დემონსტრაციული უგულებელყოფა, საბჭოთა კანონების აბუჩად აგდება, სამოკავშირეო ვალდებულებათა შეუსრულებლობა სამართლიან აღშფოთებას იწვევს მთელ ქვეყანაში. სსრ კავშირის პრეზიდენტი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, სსრ კავშირის მთავრობა იღებენ მრავალ წერილსა და დეპეშას, რომლებშიც გამოთქმულია უდიდესი შეშფოთება და გაკვირვება ამის გამო, რაც ლიტვაში ხდება. ხალხი თხოულობს სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვას, კავშირის დაცვას ზიანისაგან, რომელსაც მას აყენებს სეპარატისტთა მოქმედება. გვთავაზობენ გამოვიყენოთ ეკონომიკური, პოლიტიკური, ადმინისტრაციული ხასიათის ეფექტიანი ღონისძიებანი. ბელორუსიასა და კალინინგრადის ოლქში აყენებენ საკითხს, რომ მათ დაუბრუნდეთ ტერიტორიები, რომლებიც ლიტვას გადაეცა სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი შესვლის შემდეგ.

ერთი სიტყვით, სიტუაცია თვით რესპუბლიკაში და მის გარშემო დრამატული ხასიათის იძენს. და თუ ახლა არ მოვუხმობთ გონების ხმას, მოვლენებს შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს ყველასათვის. ჩვენ უნდა გვამოძრავებდეს საერთო მისწრაფება — არ დავუშვათ ეს.

მე მივმართე ლიტვის სსრ უზენაეს საბჭოს და შევთავაზე დაუყოვნებლივ გაუქმოს მიღებული მართლსაწინააღმდეგო აქტები. ეს შესაძლებელს გახდის, ყველა წამოჭრილი პრობლემა განვიხილოთ ერთადერთ მისაღებ საფუძველზე — სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.

იმედი მაქვს, ჩემს მიმართვას მხარს დაუჭერენ ლიტვის სს რესპუბლიკის მოქალაქენი.

მ. გორბაჩოვი.

მიზანი: მდგომარეობის ნორმალიზაცია აზერბაიჯანსა და სომხეთში

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის კომისიის ინიციატივით 30 მარტს თბილისში გაიმართა აზერბაიჯანის სს და სომხეთის სს რესპუბლიკების მთავრობათა დელეგაციების შეხვედრა, რომელშიც განხილულ რეგიონში სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. დელეგაციებში, რომელსაც მეთაურობდნენ აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები გ. ა. ჰასანოვი და ვ. ს. მარქარიანი, შედიოდნენ ამ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეები, მინისტრები, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელები. ჩვენი რესპუბლიკისაგან ამ შეხვედრაზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ჭითანავა, მისი პირველი მოადგილე ო. ვ. ქვლოფაია და მოადგილე ბ. დ. მაზარაშვილი.

გაიმართა საქმიანი, კონსტრუქციული სხვაბაასი, რომელშიც აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციების წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ინფორმატიკის კომისიის თავმჯდომარე ვ. ა. ტიტენოვი, სსრ კავშირის გზათა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ნ. გინკო, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ვ. ბ. ბლაკიევსკი და აზერბაიჯანის რკინიგზის უფროსი ე. ფ. ადიფულაევი, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღრმად და ყოველმხრივ გაანალიზეს რა შექმნილი სიტუაცია „აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა და სომხეთის სს რესპუბლიკის მდგომარეობისა და ამ რეგიონში ვითარების ნორმალიზაციისათვის გამიზნულ ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად, შეხვედრის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ტრანსპორტის შეუფერხებელი და მტკიცე მუშაობის უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრის გზებისა და საშუალებების შემუშავებას, რაც სახალხო მეურნეობის სტაბილური ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მომწიფებული საკითხების დანტერესებული, საფუძვლიანი განხილვის შედეგად შეიმუშავეს და მიიღეს აზერბაიჯანის სს, სომხეთის სს რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციების ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა, რომლის მიზანია რეგიონში რკინიგზის ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

შეხვედრაზე განიხილეს აზერბაიჯანსა და სომხეთში მდგომარეობის შემდგომ ნორმალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

(საქინფორმი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მოვალეობებისა და უფლებების შესახებ

მუხლი 1. შინაგანი ჯარები შედიან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კანონებითა და სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტებით, სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, საერთო-საკავშირო წესდებებით. შინაგან ჯარებს ხელმძღვანელობს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო უშუალოდ მართავს — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი.

შინაგანი ჯარები კომპლექტდება პირადი შემადგენლობით, რომელსაც იწვევენ ნამდვილ სამხედრო ს

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲖᲚᲕᲐ

ᲨᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ მანგანუმი მილეკანელი, ქვანახშირის საბადოები ჯრგანია გამოიფიტა, ნავთობის იხელაც მცირე მარაგს რაღაც გაუგებარი დაემართა. მართლა ბორჯომის წყლით ხომ არ ვაპირებთ ეკონომიკაში თავის გატანას? აუთვისებელი ნავარგული პრაქტიკულად აღარ გვაქვს, ჩაის მოსავლიანობის ზრდა ფართობის მომატებით უტოპიაა, ციტრუსებისაც...

რით ვიცხოვროთ?

საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღების, მისი განვითარების კომპლექსურ პროგრამაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაეთმოს ზღვის შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებას, თანაც პინციპულად ახლებური, არაორდინალური მიდგომით.

შარშან ნოემბერში რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე საჯაროდ ითქვა, რომ „ჩვენ ზღვისა და მისი სანაპიროს გეოგრაფიულ-ეკონომიკური ზოლის განვითარება მარტო სუბტროპიკული კულტურების წარმოებით, ტურიზმითა და საკურორტო მეურნეობის ფართო ქსელის შექმნით, საქართველოს სანაოსნოს ფუნქციონირებით არ ამოიწურება. ამ რეგიონის შემდგომი განვითარება-გამოყენების საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია. მისი დამუშავება სამეცნიერო ორგანიზაციების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სათანადო სამინისტროთა და უწყებათა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან არაერთგვაროვანია მისი მნიშვნელობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა მრავალფეროვანი არსებით დაწყებული, მრეწველობის, ვაჭრობის, ზღვაოსნობის, ზღვის ნიმდერეთა ათვისების პრობლემებს მოიცავს. გარე სამყაროსთან საქართველოს დამაკავშირებელ მის ფუნქციას მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ“.

ახეთი იყო იდეა, გამოკვეთილად კონკრეტული, ახეთი იყო პრობლემის გადაწყვეტის მიმართულება.

28 მარტს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს ზაზღვაო კონცეფციას განიხილავდა.

ᲩᲔᲛᲘᲡ არაორდინალურ დროში თითქმის აღარაფერი არ უნდა გაოცებდეს კაცს თავისი უჩვეულობით.

მაგრამ სწორედ უჩვეულოს® შეგრძნება თუ განწყობა იყო იმ დღეს ნინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე: უპრეცედენტო იყო თვით პრობლემა და განსახილველად მისი გამოტანის ფაქტიც. უჩვეულოს რეალოდ იყო მაინც ის მთავარი დომინანტი, რომელიც, რასაკვირველია, საქმიან, მაგრამ მაინც ცოტა ამაღლებულ განწყობილებას ქმნიდა.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა ამ ფაქტს შეეფასებს, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანს, მოვლენითსაც კი საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დამკვიდრების ურთულეს გზაზე, რადგან იგი, ეს ფაქტი, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, რომ პერსპექტიული მიზნის განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური საფუძველს შექმნის, არამედ იმითაც (გთხოვთ ამას ყურადღება მიაქციოთ. — გ. მ.), რომ პრობლემის დამუშავება-მომზადებასა და მთავრობის დონეზე ოფიციალურ, დაინტერესებულ განხილვაში გაცხადებულია სუვერენული სახელმწიფოს უკვე დღეისათვის შექმნილი, რეალურად მოქმედი პრინციპები.

დაგუმატებდი, რომ ეს რეალობა მთავრობის, მთელი საზოგადოების პრეკტიკული მოღვაწეობის შედეგია.

დიახ, ასე: შესაძლოა, დაუკვირვებელი თვალისთვის შეუმჩნეველად, მაგრამ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, გნებავთ ეტაპობრივად (თუმცა ეტაპი ფართე მცნებაა) შეგვიდია და დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში იგ, რაც გუშინ ვერც კი წარმოგვედგინა.

არდანახვა ამისა უთუოდ პოლიტიკური სიბეცეა.

იმისაც ვიტყოდი, რომ ამ ფაქტში კიდევ ერთხელ გამოიხატა საზოგადოების გარდაქმნისაკენ მიმართული მოღვაწეობის მეცნიერებასთან უმჯიდროესი კავშირის აუცილებლობა, მაღალი იდეების მხოლოდ ამ გზით რეალიზაციის შესაძლებლობა, ეს ანბანი პოლიტიკური ბრძოლისა, რომელსაც დილეტანტის თვითდარწმუნებული სიჯიუტით ვივიწყებთ თუ ივიწყებენ ზოგნი.

ხელისუფლებისა და მეცნიერების თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითად შეფასდება ამ კონცეფციის შესწავლა-შემუშავების გაჩაღებულება. იტყვიან ამას პრეზიდიუმის სხდომაზე, ოღონდ ბოლოს, საკითხის განხილვის დასასრულს.

მოკუხენებათ, კოლეგიური ხელმძღვანელობის პრინციპი, რომელიც ჩვენს ისტორიულ პრაქტიკაში არც თუ იშვიათად კოლეგიტიურ ანონიმურობას, გაუპიროვნულობას, ნიველირებას (კოლეგიტიურ უპასუხისმგებლობასაც) ნიშნავდა, ახლა დაგმობილია. ამიტომ უარიანი იქნება იმ მეცნიერებისა და სპეციალისტების წარმოჩენა, ვინც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს საზღვაო კონცეფციის შექმნაში, ვინც იმ დღეს პრეზიდიუმის სხდომაზე იყო წარმოდგენილი.

მანამდე კი მეცნიერ სტატისტიკა: მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 19 თებერვლის განკარგულებით საქართველოს სსრ სოციალური და ეკონომიკური განვითარების სამთავრობო პროგრამის შესაბამისად რესპუბლიკურ საკოორდინაციო კომისიას დაევალა საქართველოს ზაზღვაო კონცეფციის პროექტის შემუშავება.

კომისიასთან ჩამოყალიბდა 11 საპრობლემო ჯგუფი, რომლებშიც 150 მეცნიერი და სპეციალისტი გაერთიანდა. 68 ორგანიზაციასთან დამკვარდა საქმიანი თანამშრომლობა, განიხილეს ახობით საინტერესო ნაშრომები, უმეტესად ალტერნატიული წინადადება, მოსაზრება, შენიშვნა, რომლებიც სხვადასხვა დონით გათვალისწინებულია პროექტში.

კომისიამ მოკლე დროში წარმოუდგინა მთავრობას კონცეფციის პროექტი, თავს უფლებას ვაძლევ ვთქვა, რომელსაც ნაჩქარეობის არაფერი ეტყობა. კახა ბილაშვილი, უნივერსიტეტის დოცენტი ოპერატიული და ინტენსიური მუშაობის შესახებ საუბრისას იტყვის: იმ განსაკუთრებული ენთუზიაზმის შესახებაც, რომელიც შემოქმედებითი სამეცნიერო ჯგუფების წევრებს ამ პერიოდში გამოარჩევდათ და რომ ამ განწყობილებით აპირებენ ისინი კონკრეტულ პროგრამებზე მუშაობის გაგრძელებას.

საკითხის განხილვას ესწრებოდნენ (მონაწილეობდნენ კონცეფციის შედგენაში):

ლევან ალექსიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი, პროფესორი; ვახტანგ ბარათაშვილი — შორეული ცურვის კაპიტანი; კახა ბილაშვილი— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; გივი გიგინეიშვილი — გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი; თამაზ გუგუშვილი — ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი; ვაჟა გუჯაბიძე — სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; ბერდია ზაუტაშვილი — მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი; ალექსანდრე თავთიავაძე — ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი; რომან კვერენჩხილაძე — გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მეცნიერებათა დოქტორი; ემილ კობახიძე — გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი; პარმენ მარგველაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, სსრკ სახალხო დეპუტატი; ნიკოლოზ მელიქიძე — კიბერნეტიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი. ზურაბ მიმნოშვილი — საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი; ვიქტორ მჭედლიშვილი —საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე, მეცნიერებათა კანდიდატი; ნათელა სახოკია — სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; მიხეილ ღოღობერიძე— საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; იოსებ ხელაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; ირაკლი ხომერიკი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ალექსანდრე ჯავახიშვილი — კონტრადმირალი.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბაკურ გულუაშ მოხსენებიდან:

— საქართველოს ზაზღვაო კონცეფციის ამოსავალი პრინციპი საქართველოს სრული სუვერენიტეტია. საზოგადოდ, ბუნებრივი რესურსების ათვისების სამეურნეო სისტემა ქმნის სახელმწიფო სუვერენიტეტის დამკვიდრების სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს.

ზღვისპირა მდებარეობა ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ხელოვნების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი; ალექსანდრე თავთიავაძე — ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი; რომან კვერენჩხილაძე — გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მეცნიერებათა დოქტორი; ემილ კობახიძე — გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა დოქტორი; პარმენ მარგველაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, სსრკ სახალხო დეპუტატი; ნიკოლოზ მელიქიძე — კიბერნეტიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი. ზურაბ მიმნოშვილი — საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი; ვიქტორ მჭედლიშვილი —საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე, მეცნიერებათა კანდიდატი; ნათელა სახოკია — სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; მიხეილ ღოღობერიძე— საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; იოსებ ხელაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; ირაკლი ხომერიკი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ალექსანდრე ჯავახიშვილი — კონტრადმირალი.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბაკურ გულუაშ მოხსენებიდან:

— საქართველოს ზაზღვაო კონცეფციის ამოსავალი პრინციპი საქართველოს სრული სუვერენიტეტია. საზოგადოდ, ბუნებრივი რესურსების ათვისების სამეურნეო სისტემა ქმნის სახელმწიფო სუვერენიტეტის დამკვიდრების სოციალურ-ეკონომიკურ საფუძველს.

ზღვისპირა მდებარეობა ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ხელოვნების ბაბამისად საქართველოს სახელმწიფომ საკუთარ ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს ხაზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილურობა, რაც საერთაშორისო თანაშრომლობის აუცილებელი პირობაა“.

პროექტში გათვალისწინებულია საზღვაო მეურნეობის რეგულირების ღონისძიებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარეობს; დასაბუთებულია მთლიანად საზღვაო-სამეურნეო კომპლექსის მართვის სისტემის შექმნის აუცილებლობა.

ასეთი შთამბეჭდავია მასშტაბი, მაგრამ რამდენად რეალურია იგი, ან უფრო ზუსტად, საიდან უნდა დავიწყოთ მისი რეალიზაციისათვის ზრუნვა?

ამონაწერი კონცეფციის პროექტიდან:

„ზღვის პოტენციალის რაციონალური ათვისებისათვის აუცილებელია ჩამოყალიბდეს ერთიანი საზღვაო-სამეურნეო ტერიტორიული კომპლექსი, რომლის ეკონომიური ეფექტიანობა უზრუნველყოფს მის საკუთარ გაფართოებულ კვლავწარმოებას რესპუბლიკის მთლიან ეკონომიკურ სისტემაში.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა დიდი მოცულობის კაპიტალურ დაბანდებათა შესაძლებლობას. ამიტომ საზღვაო-სამეურნეო ტერიტორიული კომპლექსის ჩამოყალიბება და მისი განვითარება უნდა მობდეს საზღვაო მეურნეობის ძირითადი დარგების შემოსავლის საფუძველზე. წინასწარი ექსპერტული შეფასებით კომპლექსის წარმოქმნისა და განვითარების ეკონომიკური საფუძველი უნდა გახდეს საზღვაო ტრანსპორტი. სოციალური, ორგანიზაციული, ადმინისტრაციული, ეკოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს როგორც ბიუჯეტის, ისე საწარმოთა წილობრივი მონაწილეობის ხარჯზე. საჭიროა განისაზღვროს ამ პროგრამაში უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და გამოყენების ფორმები, რომლებიც მისაღებია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის“.

კონცეფციის პროექტის განხილვა პრინციპულიც იყო და კომპეტენტურიც, ავტორთა შრომის ხაზგასმული დაფასებაც და ზოგიერთი პრობლემის უფრო ფართედ, თანმდევ საკითხთა გათვალისწინების სურვილიც.

რ. ბახარიას, სტატისტიკოსის თავმჯდომარეს, მიაჩნია, მაგალითად, რომ პროექტში ეკონომიკურ საკითხებს მინიჭებული აქვს პრიმატი და საჭირო დონით არაა გათვალისწინებული ეკოლოგიის პრობლემები.

პროფესორი მ. ღოღობერიძე: — დღეს ჩვენ ვქმნით სხვადასხვა კონცეფციას და მომავალშიც უნდა გავაკრძელოთ. ყველა პრობლემა: სოციალური, ეკოსომიკური, ეკოლოგიური ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. ჩვენ გვექმნება დოკუმენტები, რომელთაც აუცილებლად დაჭირდება შეჯერება, მაგრამ არა მექანიკური და არითმეტიკული, რაც არაფერს მოგვცემს. აუცილებლად უნდა შეიქმნას ერთი გლობალური მოდელი. ასეთი ეროვნული განვითარების მოდელები ფუნქციონირებს დღეს ნებისმიერ განვითარებულ სახელმწიფოში.

ჩვენი მეცნიერები, ეკონომისტებიც კი დაისაშვებად მიიჩნევენ, რომ საქართველოში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბალტიისპირული მოდელი, დანიის მოდელი, შვედური მოდელი. ჩვენს ეროვნება ვუთხრა კოლექტივს, რომელმაც კონცეფციის ეს პროექტი წარმოადგინა.

შავი ზღვის შესახებ. მართლაც უზარმაზარი რეზერვია საქართველოსთვის. ეს უკვე ითქვა, ახლილიც არაფერია ამაში. ევროპახა და აღმოსავლეთს შორის კავშირურთიერთობის დღე სფეროში შავმა ზღვამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს და ამ კავშირურთიერთობის ცენტრალური რგოლი იქნება საქართველო. ამ კუთხით უნდა განვიხილოთ შავი ზღვის პრობლემა.

რას მივცეთ პრიმატი — ეკონომიკას თუ ეკოლოგიას? (რ. ბასარიას მიერ განხილისას წამოჭრილი საკითხი — გ. მ.). ეკოლოგიურად შავ ზღვას დღეს უჭირს. ამოცანა გამოიკვეთა — შავი ზღვა უნდა გადავარჩინოთ. დღეს ჩვენ ვიხილავთ შავი ზღვის როლს საქართველოს პერსპექტიულ განვითარებაში. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეკოლოგიის პრობლემები ინტეგრაციის საკითხს წამოჭრის რუსეთის ფედერაციასთან, უკრაინასთან, თურქეთთან, სხვა ქვეყნებთან. მხოლოდ ინტეგრირებული სისტემის შექმნა-ჩამოყალიბებაშია შავი ზღვის გადარჩენის ‘შანსი.

რა ღირსება აქვს წარმოდგენილ დოკუმენტს? კონცეფციის შედგენის მეთოდოლოგია არის სწორი, პრობლემა არაიზოლირებულად, საერთო სისტემაშია განხილული. ეს არის დიდი უპირატესობა და მეცნიერულ-კომპლექსური მიდგომის დადასტურება. ეს ერთი.

მეორე. პრობლემები, დაკავშირებული შავ ზღვასთან, მის პერსპექტიულ გამოყენებასთან თითქმის სისტემაშია მოყვანილი. ეს დიდი საქმეა. შეიქმნა კონკრეტული პროგრამების შედგენის მეცნიერული საფუძველი. ეს მთ უფრო მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც დილეტანტიზმის ძლიერ შემოტევას განიცდით. ჩვენ უნდა გვქონდეს ეს მეცნიერულად, სწორად გაანალიზებული მოქმედების პროგრამა, რომელიც კონცეფციაში ჩამოყალიბებული მოსაზრების, იდეების, დასკვნების რეალიზაციას მოახდენს.

ახეთი პროგრამა ალბათ ორი თვის მანძილზე უნდა დამუშავდეს. ამ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად მთავრობა სპეციალურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

მე მაინც მიმაჩნია, რომ შავი ზღვის ათვისებასთან დაკავშირებულ საკითხთა შორის ყველაზე რთული იქნება შრომითი რესურსების გამოყენების საკითხი, რომელიც დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარეობს. (ამ პრობლემას რომ განსაკუთრებით ხაზი გაესვა განხილვის დროს, ჩანაწერების დასაწყისში გთხოვეთ ყურადღება მიეექცეთ ამისათვის — გ. მ.). იქნება ახალი მშენებლობები (აქ კადრების მომზადების სპეციალური სისტემა უნდა შევქმნათ), სანაპიროს მიმდებარე რეგიონების პრობლემებიც წამოიჭრება და უნდა შეეცადოთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი შრომითი რესურსების ხარჯზე გადაწყვეტოთ ყველა ის ამოცანა, რაც დღეს კონცეფციაში საინტერესო მოსაზრებების სახითაა წარმოდგენილი.

მთლიანად მხარს ვუჭერ იდეას, რომ სტრატეგიული განვითარების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს და თუ ამასთან დაკავშირებით მეცნიერებისა და [illegible] ნკრეტული მოსაზრებები აქვთ, ვთხოვდი დაეჩქარებინათ წინადადებების წარმოდგენა.

ამეამად არსებული შესაძლებლობების ფარგლებში შეგვაძლია სპეციალიზებული სამეცნიერო დაწესებულების ფორმირება, რომელიც ამ დიდ პრობლემაზე იმუშავებს. მთავრობა გადაწყვეტს ამ საკითხს. მაგრამ ჩვენ მეცნიერთა კონკრეტულ წინადადებებს ველოდებით.

რესპუბლიკაში არაერთი კონცეფცია გვაქვს, რომლებსაც სისტემაში მოყვანა. ჭირდება, დიდ სისტემაში ზოგიერთი ცალკე ელემენტებად შევა.

სწორად შენიშნეს ამბანაგებმა: დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების პარამეტრებიც არა გვაქვს გათვლილი. როგორ ვიცხოვრებთ ახალ დროში, რა მოდელი უნდა ავირჩიოთ პოლიტიკური სტრუქტურის, ეკონომიკური სტრუქტურისა? არცერთ საზოგადოებრივ მოძრაობას ეს გათვლილი არა აქვს, სამწუხაროდ. რა აქვს ხელისუფლებას? ჩვენ შევეცადეთ ორი დოკუმენტი წარმოგვედგინა (და წარმოვადგინეთ): ეროვნული განვითარების კონცეფცია და საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის პროექტი.

მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, მომაჩნია, უნდა მოხდეს ისეთი სამეცნიერო ქვედანაყოფის ფორმირება, რომელიც სტრატეგიული განვითარების ეკონომიკური და მათემატიკური მოდელის შექმნაზე იმუშავებს.

ერთი პრინციპული საკითხიც ამასთან დაკავშირებით. რესპუბლიკაში გვაკავს ძლიერი სამეცნიერო ძალები, რომლებიც ჭლების მანძილზე შავი ზღვის პრობლემებს სწავლობდნენ, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცოდა არც მეცნიერებათა აკადემიამ, არც მთავრობამ, ვიდრე კონცეფციის პროექტზე მუშაობა არ დავიწყეთ.

ეს მეცნიერები, მათი ნაშრომები მივიწყებული გვქონდა და გვყავდა.

მომაჩნია, რომ სწორედ კონცეფციაზე მუშაობით მოინახა უაღრესად საინტერესო ორგანიზაციული ფორმა სამეცნიერო ძალებთან ხელისუფლების შეკავშირებისა, კონსოლიდაციისა.

შედეგი — კონცეფციის პროექტი. მაგრამ მომავალი პროგრამების შედგენა უფრო ძნელია და მით უფრო — მათი გაანალიზება ეტაპებისა და ისტორიულ-ფილოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

დიდი შრომისათვის უნდა ვიმადლოდოთ.

* * *

ამონაწერი დადგენილებიდან „საქართველოს საზღვაო კონცეფციის პროექტის შესახებ“.

„1. მოწონებულ იქნეს რესპუბლიკური საკოორდინაციო კომისიის ხიერ წარმოდგენილი საქართველოს საზღვაო კონცეფციის პროექტი.

2. გამოქვეყნდეს აღნიშნული დოკუმენტი პრესაში საჯაროდ განსახილველად.

3. საკოორდინაციო კომისიამ საჯარო განხილვის შედეგად მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით გააგრძელოს მუშაობა საქართველოს საზღვაო პროგრამის შესაქმნელად“.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲡᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲪᲮᲐᲓᲓᲔᲑᲐ

ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲓᲐᲜ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲛᲮᲚᲝᲓ ᲘᲣᲬᲣᲚ.

საზღვაო კონცეფციის პროექტი საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდება. მანამ კი კონსპექტურ ჩანაწერებს შემოგთავაზებთ, მის მასშტაბურობასა და მრავალმხრივობაზე წარმოდგენა მაინც რომ შეგექმნათ.

ზღვისპირეთის მეურნეობის განვითარებაში გათვალისწინებულია საქართველოს საზღვაო ფლოტის სტრუქტურის სრულყოფა, სამგზავრო ფლოტის, შესაბამისი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის (ეს მომენტი დაიმახსოვრეთ, რადგან სხდომის თავმჯდომარე ამ საკითხზე განსაკუთრებით შეჩერდება), გემთმშენებელი, გემმთმშენებელი, თევზჭერის, მინი გადამამუშავებელი კომბლექსების შექმნა, კოპერაციული ტურიზმის, მისი სპეციფიკური დარგების (ეკოლოგიური, სპელეო, ეთნოგრაფიული) განვითარება, სასოფლო-სამეურნეო — ტრადიციული დარგების თვისებრივი სრულყოფა და ა. შ. და ა. შ.

ამასთან ნათქვამია, რომ საზღვაო მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობა უნდა გახდეს ბუნებრივი სისტემების მდგომარეობა ეკოლოგიური გაუთვალისწინებლობა ერეკრეაციულ ზონებზე. ეკოლოგიური ეფექტიანობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე. ეროვნული ეფექტიანობა ეროვნულ-ეკონომიკურ ეფექტიანობა

ექო: „ოცნებაც, რომანტიზმიც... უფრო კი რეალიზმი“

გაზეთ „კომუნისტის“ 10 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია „ოცნებაც, რომანტიზმიც... უფრო კი რეალიზმი“, რომელშიც საქართველოში ახალი, თავისუფალი უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობებზე იყო საუბარი.

ამ მეტად საინტერესო იდეას უამრავი მხარდამჭერი აღმოუჩნდა. თუმცა რედაქციაში შემოსული წერილების ავტორებს ბევრი რამ აფიქრებთ.

გთავაზობთ ორ სტატიას სარედაქციო უოსტიდან.

სურვილი თუ რეალობა?

ბიორგი თარხან-მოურავის იდეა საერთაშორისო თავისუფალი უნივერსიტეტის შექმნის თაობაზე საქართველოში განათლების სწორაფი აღმავლობისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების შიზანს ისახავს. მიზანი, იცოცხლეთ, კეთილშობილურია. იმისათვის, რომ ეს სასწავლებელი სრულფასოვნად ფუნქციონირებდეს, სხვაგვარად კი წამოუდგენელია, საჭიროა უნიკალური უცხოური აპარატურა და დანადგარები, ლაბორატორიები, ელექტრონიული მოწყობილობა, რობოტო ტექნიკა და მრავალი სხვა რამ. აღარაფერს ვამბობ ინგლისურენოვანი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებზე. ამისათვის ათეული მილიონი კონვერტირებული ვალუტაა საჭირო, რაზედაც სამართლიანად მიუთითებს აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა. დიდ ხარჯებს მოითხოვს აგრეთვე უცხოელი პროფესორების მოწვევა, რაც აღნიშნული აქვს აკადემიკოს მერაბ ალექსიძეს. ევროპელი სტუდენტები, თუ კი ასეთები იაფფასიან ახლად დაარსებულ საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლას მოისურვებენ, საგრძნობ შემოსავალს ვერ მოგვცემენ, ეს ზღვაში წვეთი იქნება. ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ უცხოელი პროფესორების მოწვევას, როდესაც ეს საჭირო გახდება, ჩვენი ამჟამად არსებული უნივერსიტეტებიც არ გამორიცხავენ. კიდევ უფრო ფართო გასაქანი მიეცემა სტუდენტების უცხოეთში მივლინებასაც, რაც ამჟამადაც მცირე მასშტაბით უკვე ხორციელდება. მიმდინარეობს აგრეთვე პროფესორ-მასწავლებლების მივლინებები დასავლეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად, განსაკუთრებით იმ სპეციალობებში, რომლებიც ჩვენში შედარებით დაბალ დონეზეა.

იდეის ავტორის მიზანია პრაგმატული მიმართულების თავისუფალი უმაღლესი სკოლის შექმნა, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რეალური გამოყენებია საშუალებას მოგვცემს. იგი მოიცავს სასწავლო და კვლევითი მუშაობის ყველა დარგს. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ სწორედ ეს მძიმე ტვირთი უნდა აბიაროს თბილისში ამჟამად არსებულმა ორმა უნივერსიტეტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ტექნიკურმა უნივერსიტეტმა. მართალია, ეს სასწავლებლები ამ საქმეს მსოფლიო სტანდარტების დონეზე ვერ ასრულებენ, რაც ნაწილობრივ ჩვენი დაუდეგრობით, უმთავრესად კი ობიექტური მიზეზებით იიხსნება. ჩემი აზრით, ჩვენი უნივერსიტეტების ამჟამინდელი არც თუ დაბალი დონეც გასაკვირია: საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა იციან, თუ რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ცენტრის სათანადო სამინისტროებთან ურთიერთობა დაფინანსების ან თანამედროვე აპარატურისა და დანადგარების შეძენის თაობაზე. იქაური ბიუროკრატიის მთელი ყურადღება გამიზნულია რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული განათლების, კულტურის და მეცნიერების დაწესებულებების დახმარებისაკენ, ამიტომ, რა თქმა უნდა, იქაურ დონეს ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩებით. განსაკუთრებით ეს მკვეთრად ჩანს მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, ირკუტსკის და ზოგ სხვა უმაღლეს სკოლებთან შედარებით (თუმცა ისინი თავის მხრივ ბევრად ჩამორჩებიან განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებს). მაგრამ დავუბრუნდეთ თავისუფალი უნივერსიტეტის იდეას. აზრი თავისთავად პოზიტიურია, მაგრამ ძნელად განსახორციელებელი.

აქ, ალბათ, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ ჩვენი უნივერსიტეტები დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით ბევრად ახალგაზრდები არიან. ცნობილია, რომ პარიზის უნივერსიტეტი (სორბონა) 1215 წელს დაფუძნდა, გრენობლისა — 1339 წელს, სფრანგეთის ბორდოსი — 1441 წელს, ტურინის (იტალია) უნივერსიტეტი — 1415 წელს, კოლუმბიის უნივერსიტეტი (აშშ) — 1754 წელს, ჩიკაგოსი — 1857 წელს, ტორონტოსი — 1827 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტი — 1755 წელს. ვფიქრობ, აჯობებს მთელი ჩვენი ყურადღება გადავრთოთ რეალურად უკვე არსებულ ორ უნივერსიტეტზე, მოვუროთ მათ, მაქსიმალურად დავეხმაროთ და ნთელი მომავალი დავუსახოთ.

ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც ჩვენია, სავსებით საკმარისია ორი ძირითადი მეცნიერული მიმართულების მქონე უნივერსიტეტის არსებობა — ჰუმანიტარულ-ფუნდამენტური და საინჟინრო-მეცნიერული. ისიც აღსანიშნავია, რომ თბილისის ზოგიერთ სასწავლო და სამეცნიერო კერებში აჩაერა ფუბლიერება, როგორც ადრეების მომზადების, ასევე სამეცნიერო საქმიანობის მხრივ. მიზანშეწონილად მეჩვენება მათი გაერთიანება და რაიონულ ცენტრებში გადაყვანა სათანადო პირობების შექმნით. ამას ეროვნული ინტერესი მოითხოვს. ასეთ სიტუაციაში კიდევ ერთი ახალი სასწავლო-სამეცნიერო კერის შექმნა, ვფიქრობ, გაუმართლებელია. ხოლო თუ მე მაინც ვცდები და თარხანმოურავისეული უმაღლესი სკოლის არსებობა საჭიროდ გამოიყურება, იგი თავისუფლად შეიძლება ჩაეწეროს არსებული უნივერსიტეტების სტრუქტურაში სათანადო სექტორის ან ფაკულტეტის სახით ყველა ავტორისეული ღირებულებით.

ბიორგი ზარიძე,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ახალი უნივერსიტეტის გახსნის იდეის მომხრეები ასეთი სასწავლებლის გახსნის აუცილებლობას ჩვენში საერთაშორისო დონის შესატყვისი სპეციალისტების მწკვეთ დეფიციტით ხსნიან. გამოდის ისე, თითქოს ამგვარი სპეციალისტების მომზადების ერთადერთი საშუალება ახალი უნივერსიტეტის შექმნა იყოს.

უმაღლეს სასწავლებლებში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სკოლაში, სასწავლო პროცესის ხარისხსა და, ნაწილობრივ, პედაგოგიურ კადრების კვალიფიკაციასაც უმთავრესად მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განსაზღვრავს. თუ რა მდგომარეობაშია ეს ბაზები, ჩვენი სასწავლებლები, ეს დღეს მეტ-ნაკლებად. ყველამ იცის, ამიტომ ამაზე აღარ შეჩერდები. ასეთ ბაზაზე, რა თქმა უნდა, ძნელია მომზადების უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფა. სახსრების უკმარისობის (და, აქედან გამომდინარე, მსოფლიო კლასის სპეციალისტების დეფიციტის ძირითადი მიზეზი კი კადრების ჭარბად მომზადებაა.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მზადდება იმდენი სპეციალისტი, რამდენიც ამ ქვეყნის სახალხო მეურნეობას სჭირდება. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც, რაც სამწუხაროდ, არ არის.

წლების განმავლობაში შესაბამისი სამინისტროები და უწყებები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდნენ ამ საკითხებს, დაუსაბუთებლად ზრდიდნენ კადრებზე მოთხოვნილების მაჩვენებლებს, უმიზნოდ ქმნიდნენ ახალ სპეციალობებსა და სპეციალიზაციას, რასაც, რასაკვირველია, რესპუბლიკაში კადრების ერთგვარი სიჭარბე შექმნა — ამჟამად უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დროებით უმუშევარია. 1988 წელს გეგმიურად არგანაწილებული კურსდამთავრებულთა 32, ხოლო 1989 წელს — 27 პროცენტი. ესე იგი რა ხდება? ერთი მხრივ გვაყვს უამრავი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი, ხოლო მეორე მხრივ, მათი მომზადების ხარისხი და დონე ზშირად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

რეალური შედეგების მისაღწევად უნდა ვიზრუნოთ არა ცალკეული, თუნდაც მეტად პროგრესული ღონისძიებების განხორციელებისათვის, არამედ მთლიანად, სახალხო განათლების სისტემის კომპლექსური სრულყოფისათვის. თუკი პრობლემას საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონტექსტში გავიხილავთ, ნათელი გახდება ამ სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავების კონტექსტში განვიხილავთ, კონკრეტულად უნდა აისახოს სახალხო განათლების განვითარების გზები. გზა კი შეიძლება იყოს ორგვარი, ექსტენსიური და ინტენსიური.

ახალი უნივერსიტეტის შექმნა ექსტენსიური გზით სიარულს ნიშნავს. ამგვარ მოძრაობას კი ჩვენთვის ჯერჯერობით რეალურად სიკეთე არ მოუტანია. ჩვენი ცხრამეტი უმაღლესი სასწავლებლით და უამრავი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტით გარეთ მტერს უბნელდება თვალი და შიგნით — მოყვარეს. მეოცე უმაღლესი სასწავლებლის შექმნისათვის კი დიდძალი დამატებითი სახსრებია საჭირო. მათი მოპოვება ისევე უმტკივნეულოდაც რომ მოხდეს, როგორც ახალი უნივერსიტეტის. შექმნის იდეის მესვეურებს წარმოუდგენიათ, მაინც კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს ეს სახსრები მაქსიმალური ეფექტის მიღებისათვის.

ვიდრე ახალი უნივერსიტეტის შექმნას შევუდგებოდეთ (რაც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა მოხდეს), ჩვენი ღონე რწმენით, უნდა ავამოქმედოთ უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფის ისეთი მძლავრი ხელშემწყობი ფაქტორები, როგორიც არის ფასიანი სწავლების აუცილებლობას ჩვენში საერთაშორისო დონის შესატყვისი სპეციალისტების მომზადების სისტემის სრულყოფა.

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები პირველ რიგში მიმართული უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის კადრებზე პერსპექტიული მოთხოვნილების მინიმალური ზღვრის უზრუნველყოფისაკენ. შრომითი მოწყობის გარანტია შეიძლება მიეცეს სპეციალისტთა მხოლოდ გარკვეულ, სახელმწიფო დაკვეთით განსაზღვრულ რაოდენობას: ისიც სათქმელია, რომ კოოპერატიული მოძრაობის, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის და შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სხვა ახალი ფორმების განვითარება მომავალში სპეციალისტთა დასაქმების დამატებით შესაძლებლობებს შექმნის. ამიტომაც, სახელმწიფო დაკვეთის გადამტეხით მომზადებული კადრების შრომითი მოწყობა თვითუზრუნველყოფის წესით უნდა განხორციელდეს.

სახელმწიფო დაკვეთის დადგენისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ საწარმოებისა და უმაღლესი სასწავლებლების ორმხრივი. ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისად წარმოებები და ორგანიზაციები ნაწილობრივ ან მთლიანად აანაზღაურებენ მათთვის საჭირო სპეციალისტთა მომზადების საფასურს.

სპეციალისტების მომზადების ღირებულების ანაზღაურება საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე განამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, გააუმჯობესებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხს.

სტუდენტთა დარჩენილი ნაწილის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის კი უნდა შემუშავდეს ახალი სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა მიერ საკუთარი სახსრებით სასწავლო პროცესის ნაწილობრივ ან სრულ ანაზღაურებას. ამასთან ერთად შესაძლებელია მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების სხვა წყაროების გამოყენებაც. მათ შორის საქველმოქმედო და სხვა ფონდების, სახელმწიფო სესხის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახელობითი სტიპენდიების, საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარების, მისთვის გამოყენებითი ხასიათის მიცემისა და სხვა სახსრების ხარჯზე.

ამასთანავე, სახელმწიფო დაკვეთის ზეგით სტუდენტთა ჩარიცხვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობები, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, სპეციალობათა დეფიციტურობა და სხვა ფაქტორები.

უღრესად საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ამ მხრივ. მაგალითად, შეეცი-ში, სადაც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება უფასოა, სტიპენდიას იღებს სტუდენტთა მეტად უმნიშვნელო რაოდენობა. ამასთანავე ქვეყანაში არსებობს მრავალი სპეციალური საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, საიდანაც ახალგაზრდას ეგრეთწოდებული სოციალური სესხის აღების საშუალება აქვს, რომელსაც მუშაობის დაწყების შემდგომ გადაიხდის. გადასახადის მოცულობა ახალგაზრდა სპეციალისტის შემოსავლის გათვალისწინებით განისაზღვრება.

ჩვენთან მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიღების ერთ-ერთი გზა არის საზღვარგარეთის ქვეყნებში მათი მომზადების, სტაჟირებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკის გაფართოება. ამ ბოლო ხანებში ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

რატომ ვამახვილებ ყოველივე ამაზე განსაკუთრებულად ყურადღებას? იმიტომ, რომ ამით ამკარა ხდება რესპუბლიკაში ახალი საერთაშორისო უნივერსიტეტის შეუქმნელადაც ყალიბდება გარკვეული საკადრო პოტენციალი საზღვარგარეთ მომზადებული სპეციალისტების კორპუსის სახით. ოღონდ ამ პოტენციალის სახალხო მეურნეობრივ ბრუნვაში მაქსიმალური ეფექტით გამოყენებისათვის აუცილებელი იქნება საზღვარგარეთ მომზადებული კადრების და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა. ამასთან ეს საკითხი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს წარმოებათა ტექნიკურ დაიარაღებას, ვინაიდან ისიც საფიქრებელია, რომ იმპორტული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიის შემოტანისა და შესაბამისი საკადრო უზრუნველყოფის საკითხი გაისაკუთრებულად აქტიური გახდება რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოებისა და სამეურნეო საქმიანობის ახალ სისტემაზე გადასვლის პირობებში. გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს მრავალ, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებშიც, არსებობს საზღვარგარეთ სპეციალისტთა მომზადების სახელმწიფოებრივი კონტროლის მწყობრი სისტემები, რაც მათი ეკონომიკური განვითარების სოლიდური დამხმარე ფაქტორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ სპეციალისტთა მოსამზადებლად მივლინების სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც ერთიან კომპლექსში მოიცავს სპეციალისტების მომზადებისა და მათი გამოყენების მატერიალური ფაქტორებთან უზრუნველყოფის საკითხებს. ამჟამად ამ საქმეში უმაღლესი სასწავლებლებისა და ცალკეული წარმოება-დაწესებულებების გარდა, პრაქტიკულად ერთადეთი კოორდინატორია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი კომისია. მასში შედიან რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მაგრამ კომისიას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არა აქვს სათანადო მეთოდური და ინფორმაციული ბაზა, სასწავლებლად გასაგზავნი ახალგაზრდების შერჩევის ობიექტური, მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები და, მით უმეტეს, რესპუბლიკაში იმპორტული დანადგარებისა და ტექნოლოგიების შემოტანის პროცესებზე ზემოქმედების საშუალებები.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სახალხო მეურნეობას უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებზე არანაკლებ ესაჭიროება კვალიფიცირებული მუშათა კადრები, რომელთა მომზადების სისტემაც სერიოზულ სრულყოფას მოითხოვს. არც საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილების შესწავლა იქნებოდა ზედმეტი აქ მიმართულებით. თუმცა, აქაც, ასევე როგორც უმაღლესი განათლების სისტემაში, წამოიჭრება სიძამულო და უცხოური წარმოების მატერიალურ-ტექნიკური, ტექნოლოგიურ-ეკონომიკური, იურიდიული და სხვ. ბაზების ადექვატურობის პრობლემა. უამისოდ ყოველად გაუმართლებელი იქნება განათლების სისტემის ორიენტაცია საზღვარგარეთულ გამოცდილებაზე. ამიტომ უნდა დაისახოს საზღვარგარეთული სოციალურ-ეკონომიკური, ტექნიკური, ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული სასწავლებლების ადაპტაციის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავების გზები საქართველოს განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით. სხვაგვარად არაფერი გამოგვივა. მაგალითად, საეჭვოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მომზადებულმა მენეჯერმა გადატრიალება მოახდინოს საქართველოს სახალხო მეურნეობაში, სადაც ბევრი ისეთი ფაქტორი მოქმედებს, რომელთაც შესაძლოა არათუ ამერიკელმა, ქართველმაც ვერ აუღოს ალღო. ამერიკაში შეიძლება მომზადდეს მენეჯერი, რომელიც იმუშავებს „პიტალისტური წესით ორგანიზებულ საწარმოში. ჩვენ კი ჯერ უნდა გავარკვიოთ, რა გზით უნდა ვიაროთ, მხოლოდ ამის შემდეგ — როგორ მოვამზადოთ სპეციალისტები. ამიტომაც, სასურველია ძოხერიდან საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთობლივად შესწავლის ორგანიზაცია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით. ამ საქმეს შეიძლება დღეს-ვე მოვკიდოთ ხელი თუნდაც ახლადშექმნილ მენეჯერთა ფაკულტეტებსა და სკოლებში სპეციალური კურსის შემოღების გზით. ამ სპეციალურმა კურსმა წარმოებების, სამინისტროებისა და ხელმძღვანელთა მონაწილეობით უნდა უზრუნველყოს საქართველოში ფაქტიურად ჩამოყალიბებული მართვის სისტემის აღწერა (რაც მეტად სასარგებლო იქნებოდა მომავალი ქართველი მენეჯერებისათვის) და, რაც მთავარია, მისი კრიტიკული ანალიზი, მომავალ მენეჯერს საშუალება აქვს თეორიულად კარგად შეისწავლოს, თუ როგორ არის ორგანიზებული წარმოება საზღვარგარეთ (ხოლო პრაქტიკოსმა იცის, თუ რეალურად როგორ არის ორგანიზებული საქმე ჩვენთან). ამ ორი მხარის დიალოგმა უნდა უზრუნველყოს ერთის მხრივ თეორიული მომზადების მქონე სპეციალისტის „გამიწიერება“, ხოლო მეორეს მხრივ პრაქტიკოს ხელმძღვანელთა ზედმეტი სტერეოტიპებისაგან განთავისუფლება. ერთი სიტყვით, საქმე მეტად სერიოზულია, ამასთან დაყოვნებას აღარ ითმენს.

და თუ ყოველივე ზემოთქმულის განხორციელებაში ასოციაცია „თავისუფალი უნივერსიტეტის“ წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას და ერთგვარი სახოგადოებრივი ექსპერტრობისა და კოორდინაციის ფუნქციას განახორციელებენ, ეს უკვე ხელშესახები წვლილი იქნება. ამგვარი სისტემური მიდგომის შედეგად უკვე რეალურად შეიქმნება რესპუბლიკაში ახალი საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ცენტრის ფუნქციონირების წინაპირობები, ცენტრისა, რომელიც კონკრეტულად საქართველოს ეროვნული განვითარების მიზნებსა და პერსპექტივებზე იქნება ორიენტირებული.

დავით აბაშიძე,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების ეკონომისტი.

ფიქრები ერთი მიტინგის გამო

მიტინგი ფიქრის ადგილი არ არის. აქ ემოციები ჭარბობს. მოსმენილის გაანალიზებას მერე იწყებ, ცოტა ხანი რომ გავა და პირველი შთაბეჭდილება განილდება.

იმ მიტინგის მერე ფიქრები კარგა ხანს წამომყვა...

...ავ მშობელს — ჩვენს წარსულს ყველა ერთნაირად ვემდურით. ხშირად კი ვერ ვამჩნევთ, რამდენი გამოგვყოლია მისგან; ვერ ვგრძნობთ, რომ ჩვენდაუნებურად იგივეს ვიმეორებთ, რაისთვისაც ასე მკაცრად განვიკითხავთ მას.

„ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“ — ოცი-ოცდაათიანი წლების მმართველი კასტის შეგნებაში ბაობაბივით გაბოჭილმა ამ უწმინდურმამ ცნებამ რა მოუტანა ჩვენს ქვეყანას, ეს დღეს ვინ არ იცის. ამიტომ, თუკი სადმე თვალი გკიდეთ დღის სინათლეზე თავამოყოფილ მის ნედლ ამონაყარს, მაშინვე უნდა ამოვძირკვოთ, ძირიან-ფესვიანად მოვგლიჯოთ, როგორც პატარა პრინცი ასუფთავებდა ყოველდღე თავის ასეთსვე პატარა პლანეტას ბაობაბის ამონაყრებისაგან, რადგან იცოდა, გაბოჭილ ბაობაბს უკვე ვეღარ მოერეოდა და პლანეტა დაეღუპებოდა.

აი, ამის ცდად აღვიქვი ის ღონისძიება, ამ ცოტა ხნის წინათ რომ დაიწყო უნივერსიტეტის ბაღში და დახრულდა სიონის საკათედრო ტაძართან.

დღეს ბევრს ვსაყვედურობთ ერთმანეთს—განსხვავებულ აზრს ძნელად გგუობთ, მეტისმეტად უკომპრომისოება გავზდით. სხვას ნუ დავამუნათებთ, მეტ-ნაკლებად ალბათ ყველას გვაკლია შემწყნარებლობის — კაცთა მოდგმის ამ უძვირფასესი თვისების მადლი და მირონი. მხოლოდ პირჯვრის წერით და ეკლესიაში სანთლის დანთებით ჭეშმარიტი ქრისტიანი ვერ იქნები. უმაღლესი ადამიანურობის ნიშნით აღბეჭდილი ჩვენი რჯულის მოძღვრება იმდენად რთული და ღრმად ფილოსოფიურია, რომ ერთი თუ ეზიარე, ბოლომდე უნდა მიჰყვე.

პოლიტიკური ბრძოლა ურთულესი პროცესია, საბოლოო წარმატებისათვის მეთოდების და ხერხების დიდი არსენალია საჭირო. ერთი რამ აქაც ცხადია: ყოველგვარი ბრძოლა კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის დიდი პრინციპების მტკიცე ბალავარს თუ არ დაეყრდნო, ყოველი მეცადინეობა განწირულია. სწორედ ამიტომ იყო დროული და საჭირო, აი, ეს შეძახილი, ამ ბოლოებში ასე ძალუმად რომ გახმიანდა ყველას გასაგონად. საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქისტულმა პარტიამ, უნივერსიტეტის პრეს-კლუბმა, გეოფიზიკის ინსტიტუტმა, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებამ, დემოკრატიულმა პარტიამ, ქრისტიანულ-დემოკრატთა კავშირმა, მწერალთა კავშირმა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და რუსთაველის საზოგადოებამ ჯერ თავად მიიღეს და გაიზიარეს ორგანიზაცია „საქართველოს მხედრიონის“ წინადადება ეროვნული ერთიანობის და ურთიერთმიტევების დღის შემოღების შესახებ, მერე საზოგადოებას მოუწოდეს.

იმ დღიდან უნივერსიტეტის ბაღში შეიკრიბნენ ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ცნებები — მიტევება, შეწყალება, დანდობა, მონანიება, მოყვასის სიყვარული, ვისაც სწამს ერის ნამდვილი შინაგანი სულიერი ერთიანობის შესაძლებლობა, ვინაიდან გაერთიანების გზა მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანულ საწყისებზე გადის.

— დღეს მძიმე დღეები უდგას ჩვენ სამშობლოს. გოლგოთის გზას არის შემდგარი ზურგზე ჯვრით და თავზე ეკლის გვირგვინით, — როგორც მიტინგზე სიტყვით გამოსულმა უნივერსიტეტის პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა თქვა, — შევუმსუბუქოთ ეს სვლა, ნუ დავუღვრით შვილთა სისხლს. მტერს გარეთ ნუ ვეძებთ, საკუთარ ტომში, ჩვენივე თავში ვეძებოთო.

თუ ვინმე უნდა განიკითხო, ალბათ — საკუთარი თავი. და თუ შესძელი თავისა თვისის განკითხვა, მოყვასისადმი მიმტევებელი გახდები — ასე მშვიდად ყოველთვის, მშვიდად იმგვარი ადამიანისაც, ასეთი პრინციპებით ვინც ცხოვრობდა, ყველაზე მეტს ვინაც საკუთარ თავს სთხოვდა. და რომ ამ დღეს ასეთი სურვილი გაცხადრდა, ეს თავისთავად სასიხარულოა. სასიხარულო კიდევ ერთი რამ არის: უამრავი ადამიანი მოვიდა უნივერსიტეტის ეზოში, მერე ფეხით სიონის ეკლესიამდე ჩავიდნენ. ეტყობა მძლავრდება გაერთიანების სურვილი, ერთმანეთის გაგების სურვილი, ბნელეთის ჯურღმულიდან ამოსვლის სურვილი, როგორც ლაშა თაბუკაშვილმა თქვა. ტოტალიტარულმა რეჟიმმა იმისთანა ჯურღმულში ჩაგვაგდო, ძალზე ფრთხილად უნდა ამოვიდეთ იქიდან, კედლებიდან ჩამონაშალმა ქვა-ღორღმა ისევე უკან არ ჩაგვიტანოსო. კი მწამს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში სატანა ბინას ვერ დაიდებს, მაგრამ თან მეშინია, საკუთარი უგუნურებით ჩვენვე არ წაგაშველოთ ხელი უწმინდურს ბინის დადებაშიო. მხოლოდ სიფრთხილე, მხოლოდ მიტევება, მონანიება...

— ღმერთმა ნუ მანახოს საქართველო დამოუკიდებელი, მაგრამ არადემოკრატიული. ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ ამისათვის არ ვიბრძვით, — თქვა აკადემიკოსმა მერაბ ალექსიძემ, — ჩვენ მხოლოდ მასობრივი კეთილგანწყობილებით მივაღწევთ სრულ კონსოლიდაციას ეროვნულ მოძრაობაში. სხვა რამეში შეიძლება სხვადასხვა აზრი გვქონდეს, ამაში კი ყველა — ხელმძღვანელიდან რიგით მუშაკამდე — ერთსულოვანნი უნდა ვიყოთ. პატარა გაუგებრობები უნდა გავარკვიოთ ხოლმე. ნთქვამის ფორმას და შინაარსს ცოტა ღრმად უნდა ჩავუკვირდეთ. ქართველისათვის ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელობა ფორმას, ამის გულისთვის ნუ ვატკენთ გულს ერთურთს.

აკადემიკოსის აზრით წუთიერი აფექტები და თავგანწირვა არ არის ამჟამად ჩვენი გზა, სულიერი წონასწორობის გზა უნდა ვარჩიოთ. და კიდევ ერთი, ჩემი აზრით მნიშვნელოვან მომენტს გაუსვა მან ხაზი: სკკპ რიგითი წევრობა ქართველი კაცისათვის მომაკვდინებელი ცოდვა როდია. თავად უპარტიო, იგი ფიქრობს, წყობილობებისა და ტექნოლოგიის შემოტანისა და შესაბამისი საკადრო უზრუნველყოფის საკითხი გაისაკუთრებულად აქტიური გახდება რესპუბლიკის ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოებისა და სამეურნეო საქმიანობის ახალ სისტემაზე გადასვლის პირობებში. გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს მრავალ, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებშიც, არსებობს საზღვარგარეთ სპეციალისტთა მომზადების სახელმწიფოებრივი კონტროლის მწყობრი სისტემები, რაც მათი ეკონომიკური განვითარების სოლიდური დამხმარე ფაქტორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ სპეციალისტთა მოსამზადებლად მივლინების სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც ერთიან კომპლექსში მოიცავს სპეციალისტების მომზადებისა და მათი გამოყენების მატერიალური ფაქტორებთან უზრუნველყოფის საკითხებს. ამჟამად ამ საქმეში უმაღლესი სასწავლებლებისა და ცალკეული წარმოება-დაწესებულებების გარდა, პრაქტიკულად ერთადეთი კოორდინატორია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი კომისია. მასში შედიან რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მაგრამ კომისიას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არა აქვს სათანადო მეთოდური და ინფორმაციული ბაზა, სასწავლებლად გასაგზავნი ახალგაზრდების შერჩევის ობიექტური, მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები და, მით უმეტეს, რესპუბლიკაში იმპორტული დანადგარებისა და ტექნოლოგიების შემოტანის პროცესებზე ზემოქმედების საშუალებები.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სახალხო მეურნეობას უმაღლესი

ბაბილინა ხარებავშვილი.

„კლასიკისა და თანამედროვეობის“ ფესტივალი

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასი. იქ, ნიუ-იორკის ბრუკლინის მუსიკის აკადემიის ცენტრში გაიმართება სასცენო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „კლასიკა და თანამედროვეობა“. ქართველი მსახიობები ზედიზედ ექვს საღამოს ითამაშებენ შექსპირის „მეფე ლირს“ სახელგანთქმულ კულტურულ ცენტრში, რომლის სცენაზეც თანამედროვეობის გამოჩენილმა რეჟისორმა პიტერ ბრუკმა დადგა ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ და შარშან ხაფხულში იგი გააცნო თბილისელ მაყურებელს. რუსთაველელთა გამოსვლა ნიუ-იორკში, არსებითად, საპასუხო ვიზიტია.

ფესტივალში მონაწილეობენ მსოფლიოს საუკეთესო თეატრალური კოლექტივები, მათ შორის ბერლინის დასი, რომელმაც ნიუ-იორკში ჩაიტანა შექსპირის ორი დადგმა, შტაინის კოლექტივი — ჩეხოვის სპექტაკლით „სამი და“... „მეფე ლირი“ რობერტ სტურუას ინტერპრეტაციით, რომელშიც მთავარ როლს ასრულებს რამაზ ჩხიკვაძე, ტრიუმფით უჩვენეს ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში და საზღვარგარეთ, მან დაადასტურა რუსთაველელთა დახვეწილი პროფესიონალიზმი, ლიტერატურული მასალის არატრადიციული რეჟისორული გადაწყვეტა, მსახიობთა ჩინებული თამაში.

ყოველწლიურად იზრდება თეატრისა და მისი ხელმძღვანელის პოპულარობა. რუსთაველელთა საგასტროლო რუკაზეა საზღვარგარეთის ათობით ქვეყანა. თეატრის ხელმძღვანელობა იღებს მრავალ მიწვევას, მათ შორის ქართველი რეჟისორის მიერ სპექტაკლების დასადგმელადაც.

(საქინფორმი).

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ ნიუ-იორკი. ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე ძირეულმა ცვლილებებმა უნდა აიძულოს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია გადასინჯოს თავისი საგარეო პოლიტიკა. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ ამერიკის ომისაწინააღმდეგო ორგანიზაციის — საცოცხლისუნარიანი მსოფლიოსათვის მებრძოლი საბჭოს განცხადებაში.

**◎ ჰავანა. აქ ჩამოფრინდა კუბის ავიაკომპანია „კუბანა დე ავიაციონის“ ორი თვითმფრინავი. მათ ჩამოიყვანეს 186 საბ

საჰაერაკო დაფებთან და მათ მიღმა

(დასასრული)

ზურგში ჩარტყმული დანა

ჩვენ მას მთელი ღამე ვაანალიზებდით. კარპოვს ჰქონდა სამი გაგრძელება. პირველში, ჩემთვის ყველაზე სახიფათოში, აღმოვაჩინეთ დაცვის კარგი გეგმა, ყაიმს მიიახლოებული. მეორე ვარიანტშიც ვიპოვეთ ჩინებული პოზიციური ყაიმი, მესამე გზა თითქმის არ გახგვიხლავს — ყაიმი შეუთარაღებელი თვალითაც ჩანდა (მართლაც იქ მიზანი ერთ სვლაში მიიღწეოდა). მაგრამ კარპოვმა გადადებული პარტიის დამთავრებისას სწორედ ეს გაგრძელება აირჩია. ვითომ მან ხელიდან გაუშვა ყაიმი ერთ სვლაში? დაუჯერებელია! თუმცა სწორედ ამ შეცდომის წყალობით მოიგო. მე ვეხდე დროის ნაკლებობის გამო ზერელედ გაკეთებულ საშინაო ანალიზს, უბრალოდ იგი არც მოითხოვდა განსაკუთრებულ ძალისხმევას. საერთო ყურადღების გარეშე დარჩენილი შუალედური ქიმი ვალდებული ვიყავი უშუალოდ დაფაზე მეპოვა. მაგრამ კარპოვის მიერ აშკარად სუსტი გაგრძელების არჩევა ბევრ რამეს გვაუწყებს!

გუნდში ვითარება დაიძაბა. მატჩის მსვლელობის დროს დაგროვილი ეჭვები, რომლებიც გარკვეულ დროიდან ფერმკრთალდებოდა გაძარჯვებით გამოწვეული გულმხიარულობის ფონზე, ანალ მთელი ღვარძლიანობით აღიმართა ჩვენს წინაშე. პირველად მითხრეს, რომ ვლადიმიროვი 'უკვე ნახევარი წელია აწარმოებს ჩვენი სადებიუტო დამუშავებების გადაწერას, მწვრთნელებს ეგონთ, რომ ეს ჩემი ნებართვით ხდებოდა. ერთბაშად გავიხსენეთ ვლადიმიროვის ხშირი გაუჩინარება, მისი სრული თავისუფლება ლონდონში — ყოველი პარტიის წინ იგი „სარბენად" მიეშურებოდა. გავიხსენეთ, რომ მეთვრამეტე გადადებული პარტიის დამთავრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე იგი კვლავ წავიდა ქალაქში, ხოლო კარპოვმა პარტიის დამთავრებისას ათი წუთი დაბაგიანა (მისი სეკუნდანტის მაკარიჩევის მოწმობით, ბოლო მომენტამდე კარპოვმა ვერასგზით ვერ გადაწყვიტა, თუ რომელი აერჩია სამი გაგრძელებიდან).

გადავწყვიტეთ მიგვეღო სიფრთხილის აუცილებელი ზომები: არავინ არ უნდა დაეტოვებინა ჩვენი ბაბაკის ტერიტორია, მწვრთნელებს ემუშავათ ცალ-ცალკე. ვლადიმიროვმა კატეგორიულად უარი თქვა ამ მოთხოვნების შესრულებაზე. მე მას ვარწმუნებდი, რომ ეს ძნელი არ არის, ცოტა დარჩა სათამაშო. კარპოვის მწვრთნელები ხომ მთელი მატჩის განმავლობაში პარტიებზეც არ დადიან, რომ არაფერი ვთქვათ ქალაქში სანგრძლივ გასეირნებაზე. საჭიროა მოთმინება... მაგრამ ვლადიმიროვი მაინც წავიდა. შეუჩნევლად დგ გაურკვეველი ძიმართულებით. უკვე ეს საკმარისი იყო, რომ მას გამოვთხოვებოდი.

მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ყოველ შემთხვევაში მწვრთნელებისათვის მოგვეხსნა ყველა ტელეფონი. თავისი აპარატი მოიტანა ვლადიმიროვმაც. მაგრამ დილით, ექვს საათზე, როცა დედაჩემმა მისი ნომერი აკრიფა, მავთულის იქითა მხარეს ყურმილი აიღეს, თუმცა არაფერი უპასუხეს. მოგვიანებით ვლადიმიროვის ოთახში მართლაც აღმოჩნდა მეორე აპარატი, რომელსაც იგი მალულად ინახავდა. იძულებული გახდით სახლში გაგვეთიშა ყველა ტელეფონი, მორიგის გარდა.

როცა შეიტყო, რომ მისი საიდუმლო ტელეფონი გამოთიშულია, ვლადიმიროვი შეცბა: მან ჯაშუშობაში დაგვდო ბრალი და განაცხადა, გუნდს ვტოვებო. მაშინ დელეგაციის ხელმძღვანელმა მოსთხოვა, დაებრუნებინა ჩანაწერები. ვლადიმიროვმა უარი თქვა, არავითარი ჩანაწერები არა მაქვსო. როცა მწვრთნელებმა სწრაფად შეინჯღრიეს მისი მეხსიერება, იგი იძულებული გახდა ჩანაწერები მოეტანა. ასე ვნახეთ, თუ რა დიდი „მიმოწერითი თამაში" მიმდინარეობდა ჩემს ზურგს უკან. რატომღაც ვლადიმიროვის ინტერესების სფეროში აღმოჩნდა არა მისთვის დამახასიათებელი დებიუტები, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ჩემი მთავარი იარაღი იყო კარპოვის წინააღმდეგ. ჩვენ მოვთხოვეთ ვლადიმიროვს 'წერილობითი ახსნა-განმარტება. აი რა დაწერა მან:

1986 წლის თებერვლიდან მოყოლებული გ. კასპაროვთან შეკრებების დროს ვაწარმოებდი იმ ანალიზების გაშიფვრას, რომლებშიც ვმონაწილეობდი. ა. შაკაროვისათვის ჩასაბარებელი პირველი პირების პარალელურად ჩემთვის ვადგენდი შემცირებულ ასლებს, რათა ისინი პირადად გამომეყენებინა შემდგომ ტურნირებში. ამ ჩანაწერების შესახებ გუნდის წევრებისათვის არაფერი მითქვამს. კეთდებოდა შემდეგი ვარიანტების ჩანაწერები:

— გრიუნფელდის დაცვა (მთავარი ვარიანტი და ვარიანტი 5. ef4),

— ნიმცოვიჩის დაცვა (სისტემა 4. ef3, c5 5. g3),

— რუსული პარტია (როზენტალისის სისტემა და მთავარი ვარიანტი).

ჩანაწერების დანიშნულება იყო მხოლოდ და მხოლოდ პირადი სარგებლობა და არავითარ შემთხვევაში მათი კარპოვის გუნდისათვის გადაცემა.

რადგან ვგრძნობ ფიზიკურ და ფსიქიკურ დაძაბულობას, მივიღე გადაწყვეტილება გ. კასპაროვის გუნდიდან ჩემი ნებით წასვლის შესახებ.

პირობას ვდებ, რომ ყოველ შემთხვევაში ორი მომდევნო წლის მანძილზე მაინც არ ვითანამშრომლებ გ. კასპაროვის რომელიმე შესაძლო მეტოქესთან.

ვ. ვლადიმიროვი 26.IX,1986.

ყოველივე ამან თავგზა აგვიბნია. ჩვენ ვლადიმიროვის შენარჩუნება არ გვიცდია. იგი მთელი ღამის განმავლობაში მორიგე ტელეფონთან ელოდებოდა ვიღაცის ზარს და დალაპარაკების შემდეგ წავიდა. ვლადიმიროვმა პირობა შეასრულა ჩემი **შესაძლო** მეტოქეების შესახებ. სამაგიეროდ, როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი ეხმარებოდა ჩვენს **უშუალო** მოწინააღმდეგეს სევილიის მატჩის წინ.

მე არ შემიძლია დავასაბუთო, რომ ვლადიმიროვი თავის ჩანაწერებს კარპოვს გადასცემდა. მაგრამ მოვლენების განვითარებულ ლოგიკა ამაში მარწმუნებს. ჯერ კიდევ ლონდონში ვამტკიცებდი (მაშინ არც კი ვიცოდი, თუ ვლადიმიროვი პარალელურ ჩანაწერებს აკეთებდა), რომ კარპოვი იღებს მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩვენი მომზადების თაობაზე.

როგორ შეიძლებოდა მოშმდადაგვტოვა, ხოლო მეორე დღეს, მეოცე პარტიის წინ, კარპოვმა ყველასათვის მოულოდნელად თავისი ბოლო ტაიმ-აუტი აიღო. ეს სენსაცია იყო! ბევრი მოელოდა, რომ „კარპოვი ისარგებლებდა მეტოქის წამოჩოქვების ინერციით და მას ზედიზედ მეოთხე დარტყმას მიაყენებდა, რის შემდეგ კასპაროვი წელში ვეღარ გაიმართებოდა". მაგრამ კარპოვმა... თამაში არ ისურვა. საერთო აზრით, ეს საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა! მართლაც პირველად მატჩში მან მიიღო წარმატების შანსი და უცებ ასეთი გაუბედობა! ნათელია, რომ ესოდენ სპასასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებას სერიოზული საფუძვლებიც ექნებოდა. სახელდობრ როგორი? შემდეგ კარპოვი იტყვის, რომ წამოეჭრა სადებიუტო პრობლემები. ეტყობა, მის „წინასწარკვრეტას" რაღაც დაეტყო, ხოლო მეორე დღეს, მეოთხე პარტიის წინ, კარპოვმა ასეთი ბოლო ტაიმ-აუტი აიღო. ეს ამბავი ალბათ ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ ბევრ ადამიანს ეგონა, ალბათ ბევრ ადამიანს ეგონა,